ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 439

“ 23 ” სექტემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.030) 59 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აპ 24-სთვის“ (ს/ნ. 405723766) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.030) 59 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აპ 24-სთვის“ (ს/ნ 405723766) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 17 სექტემბრის №25.1525.1733 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.030) 59 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აპ 24-სთვის“ (ს/ნ. 405723766) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 17 700 (ჩვიდმეტი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე